საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 3 20 0001137851

30/11/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 ოქტომბრის N9988/01 კორესპონდენცია (სამინისტროს რეგისტრაციით N1024238; 3.11.2020) „დაბა სურამის გენერალური გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშსა და „დაბა სურამის გენერალური გეგმის“ პროექტის თაობაზე. კომპეტენციის ფარგლებში წარმოგიდგენთ სამინისტროს პოზიციას აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ:

- კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით:

არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფეხმავლო ქუჩებისა და ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნა, გამოიწვევს მშენებლობის გააქტიურებას კერძო სექტორის მხრიდან. ამდენად, სასურველია მოხდეს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებისა და მათი დამცავი არეალების განსაზღვრის გზით, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის/ების დადგენა სამშენებლო ზონის განსაზღვრის პარალელურად, რაც ხელს შეუწყობს მათი იერსახის და ღირებულების შენარჩუნებას.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს თერმული წყლებისა და მინერალური წყლების გამოყენების გამოცდილებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების საკითხი. აღნიშნულის განსახორციელებლად შემსრულებელმა დროულად უნდა წარუდგინოს მის ხელთ არსებული მასალა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს - სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

- განათლების ნიმართულებით:

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

გასათვალისწინებელია, რომ დაბა სურამის მიმდებარედ, ბანას კომპლექსში, მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა, რომელსაც კოორდინაციას უწევს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

მნიშვნელოვანია, რომ გენერალური გეგმის პროექტის მომზადების პროცესში, სახელმწიფოს საკუთრებასა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიებს (მიწის ნაკვეთებს), რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ან მათი დამხმარე შენობა - ნაგებობების მოწყობის მიზნით, არ შეეცვალოთ (ან მიენიჭოთ საჭიროებისამებრ) შესაბამისი ზონალური სტატუსი.

ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ ანგარიშსა და პროექტში გათვალისწინებული იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიების მოწყობის კონცეპტუალური სქემა, რათა არ შეიზღუდოს აღნიშნული ტერიტორიების სამშენებლოდ გამოყენების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ხარატიშვილი ლევან